



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ფილოსოფია, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

სსიპ-ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

16-1.06.2022

27.07.2022

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ-ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204861970
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ფილოსოფია (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	ფილოსოფიის ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0223
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	N/A
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული N69; 30.09.2011

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ქიმერიძე - სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გიორგი თავაძე - შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამელი დასკვნა

▪ **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

სსიპ-ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა *ფილოსოფია* ექსპერტთა ჯგუფს განსახილველად გადაეცა 2022 წლის 16 ივლისს. საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტებულია 2011 წლის 30 სექტემბერს (უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება N69). აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 5 წლის ვადით ყოველგვარი დათქმის გარეშე. ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის მიხედვით დადასტურდა საგანმანათლებლო პროგრამის სრული შესაბამისობა აკრედიტაციის ხუთივე სტანდარტთან, თუმცა ექსპერტთა ჯგუფს ჰქონდა გარკვეული რჩევები პროგრამის განმახორციელებელთა და ინსტიტუციის მიმართ, საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების მიზნით, კონკრეტულად რჩევები ეხებოდა:

¹ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

² უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

- ✓ სწავლის შედეგების რუკის კორექტირებას ცალკეული სასწავლო კურსების სილაბუსებში წარმოდგენილ სწავლის შედეგებთან;
- ✓ სასწავლო კურსების სილაბუსებში სასწავლო თემების კვირეული დატვირთვის წარმოდგენას შესაბამისი ლიტერატურის მითითებით;
- ✓ სასწავლო პროგრამაში ინგლისური ენის კომპონენტის გაძლიერებას.

წინამდებარე რჩევები განახორციელდა საგანმანათლებლო პროგრამის მენეჯმენტის მხრიდან. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ რჩევების გარკვეულმა ნაწილმა კიდევ უფრო არსებითი მნიშვნელობა შეიძინა საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში მოცემულ ეტაპზე აკრედიტაციის ახალი სტანდარტების შესაბამისად, კერძოდ, ეს ეხება სწავლის მიზნებისა და შედეგების შედარებით ანალიზს, რომელზეც დაკვირვება უფრო დეტალური და მიზანმიმართულია, ვიდრე საგანმანათლებლო პროგრამის პირველი აკრედიტაციის დროს. შესაბამისად, დანართის სახით წარმოდგენილ სწავლის მიზნებისა და შედეგების რუკების დოკუმენტებში არსებითი ცვლილებებია განხორციელებული.

სასწავლო კურსების გარკვეულ სილაბუსებში სასწავლო თემატიკა დეტალიზებულია და წარმოდგენილი შესაბამისი სასწავლო მასალის მითითებით. თუმცა ცალკეულ შემთხვევაში კურსის წამყვანი პედაგოგი იყენებს ტექნოლოგიებსა და ცალკეულ საუნივერსიტეტო პლატფორმებს სასწავლო მასალის მიწოდების მიზნით.

საგანმანათლებლო პროგრამის ზოგად სასწავლო ბლოკში წარმოდგენილია უცხოური ენის და კერძოდ ინგლისურის სასწავლო კურსი 24 კრედიტის ოდენობით, რაც მნიშვნელოვანი მხარდაჭერაა სტუდენტთათვის, რომელთაც პროგრამის განმახორციელებლები ცალკეულ სასწავლო კურსებში უკვე სთავაზობს კიდევ დარგში უცხოურ კვლევებს სასწავლო მასალის სახით.

მოცემულ პროცესში განახლდა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები და შედეგები ახალი რეგულაციების თანახმად. მომზადდა მიზნებისა და შედეგების რუკები, განისაზღვრა სამიზნე ნიშნულები. გაიზარდა დარგობრივი კომპეტენციის მიმცემი სასწავლო კურსების რაოდენობა და შესაბამისად კრედიტმოცულობაც. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შემცირდა არჩევითი კურსებისათვის განკუთვნილი კრედიტმოცულობა. ამავდროულად სავალდებულო კომპონენტი გახდა საბაკალავრო ნაშრომის შესრულება, რომლის კონცეფცია, წარმოდგენს დეტალურ, სტუდენტზე ორიენტირებულ და დარგის კვლევების საფუძვლის შექმნის რეალურ სახელმძღვანელო აკადემიურ დოკუმენტს.

იმ გარემოებებიდან გამომდინარე, რომ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის N69/ნ (10.04.2019) ბრძანების N3 დანართის თანახმად განისაზღვრა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისა და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის მიზნით თვითშეფასების ანგარიშის წარდგენის ვადები, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებამ ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან შესაბამისობაში მოყვანილი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ექსპერტიზის მიზნით წარადგინა სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

საგანმანათლებლო პროგრამის პორტფოლიოში გარდა პროგრამისა და სასწავლო კურსების სილაბუსებისა, უსდ-ს წარმოდგენილი აქვს შესაბამისი ანგარიშის ფორმა მტკიცებულებების პაკეტით (3 დანართი). წარმოდგენილი მასალების გაცნობის შემდგომ ექსპერტთა ჯგუფმა შეიმუშავა ხედვები საგანმანათლებლო პროგრამის კვალიფიკაციის ჩარჩოსთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

▪ **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის MES 9 22 0000650432 16/06/2022 ბრძანების საფუძველზე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა შემადგენლობით: ნინო ქიმერიძე (თავმჯდომარე); გიორგი თავაძე(წევრი) განახორციელა სსიპ-ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის **ფილოსოფია** არაგემიური მონიტორინგი. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება განხორციელდა დაწესებულებაში ვიზიტის გარეშე.

- საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

▪ **რეკომენდაციები**

კომპონენტი 1.1

- რეკომენდებულია გადაიხედოს სასწავლო კურსების შუალედური და დასკვნითი შეფასების მინიმალური ზღვრები და დაკორექტირდეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N3 ბრძანების (2007 წლის 5 იანვარი) რედაქტირებული ვერსიის მიხედვით.

▪ **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

კომპონენტი 1.1

- სასურველია, პროგრამის მიზნებში მითითებული იქნეს, თუ რა წვლილს შეიტანს პროგრამა სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში, რადგან ეს ხელს შეუწყობს პროგრამის უნიკალურობის წარმოჩენას.

კომპონენტი 1.2

- სასურველია, განხორციელდეს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი, ანუ ასახული იყოს რეალური დინამიკა (რა იყო განსაზღვრული და როგორი იყო/არის არსებული რეალობა), რათა პროგრამის განვითარება და სამიზნე ნიშნულებზე გასვლა/არგასვლის პროცესი ნათლად იყოს წარმოჩენილი.

კომპონენტი 2.1

- სასურველია რუბრიკაში *პროგრამაზე დაშვების წინაპირობები* ასევე აისახოს მობილობით სტუდენტთა პროგრამაზე დაშვებისა და უცხოელ მოქალაქეთა მიღების პირობები პოტენციურ სტუდენტთა და საგანმანათლებლო პროგრამით დაინტერესებულ სხვა პირთა ინფორმირების მიზნით.

კომპონენტი 2.3

- სასწავლო კურსში „თანამედროვე ფილოსოფია“ შეტანილი იქნეს მასალა ფრიდრიხ ნიცშეს შესახებ ამ მოაზროვნის მნიშვნელობისა და გავლენიდან გამომდინარე;
- შესწორდეს ტექნიკური ხარვეზი სასწავლო კურსის სილაბუსში „შუა საუკუნეების ფილოსოფია“, კერძოდ, შემცირდეს ერთი და იგივე გვერდების რაოდენობა;
- სასწავლო კურსში „ახალი დროის ფილოსოფია“ გაიმიჯნოს სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურა.

▪ **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

კომპონენტი 2.4

- საბაკალავრო ნაშრომის ფილოსოფიის სავალდებულო მოდულში ინტეგრირება უზრუნველყოფს სტუდენტებში საბაკალავრო დონის შესაბამისი კვლევითი უნარების განვითარებას და მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მათ აკადემიურ პროგრესს შემდგომ საგანმანათლებლო საფეხურზე (სადაც ხშირად ფიქსირდება სტუდენტებში კვლევითი უნარების არასათანადო განვითარება სწორედ იმის გამო, რომ მათ ბაკალავრიატში არ ეძლევათ აღნიშნული უნარების განვითარების შესაძლებლობა).

კომპონენტი 2.6

- სასწავლო კურსებში „პოსტკლასიკური ფილოსოფია: კირკეგორი, მარქსი, ნიცშე“ და „ესთეტიკა“ დასკვნით შეფასებად გათვალისწინებული ზეპირი გამოცდა, ხოლო სასწავლო კურსებში „მოდერნულობის თეორიები“, „მორალური მოტივაციის თეორიები“, „ცნობიერების ფილოსოფია“, „ანტიკური ფილოსოფია“ - შესრულებული წერილობითი ნაშრომის საჯარო პრეზენტაცია და დაცვა. იმ ფონზე, როდესაც უსდ-ები უნიფიცირებულ - წერით - მეთოდს მიმართავენ შუალედური და დასკვნითი გამოცდების ჩატარების დროს, დასკვნითი შეფასების კომპონენტად ზეპირი გამოცდის მითითება მისასაღმებელია, რადგან ის ითვალისწინებს ფილოსოფიის სპეციფიკას, სადაც მნიშვნელოვანია არა მხოლოდ არგუმენტირებულად წერა, არამედ ამ არგუმენტების საჯარო სივრცეში წარმოდგენაც. გარდა ამისა, ზეპირი პრეზენტაციის დროს, როდესაც სტუდენტი საკუთარ ნაშრომს დასკვნით გამოცდაზე იცავს, მას უკვე საბაკალავრო საფეხურზე გამომუშავდება ის უნარები, რაც აუცილებელია უმაღლესი განათლების შემდგომი საფეხურების წარმატებით დასრულებისთვის (სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომების დაცვა). ამ უკანასკნელ შემთხვევაში არანაკლებ მნიშვნელოვანია ისიც, რომ „გაზომვადი“ უნარის შექმნის გარდა, საჯარო პრეზენტაციითა და საკუთარი თეზისების დაცვით სტუდენტი აკადემიური საზოგადოების ერთ-ერთ უმთავრეს - საჯაროობის - პრინციპს ეზიარება და საუნივერსიტეტო საზოგადოების საფუძველმდებარე ღირებულებებს ითავისებს.

- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

კომპონენტი 1.1

- პროგრამის თვითშეფასების ანგარიშში (გვ. 7) მითითებულია, რომ მოხდა პროგრამის მიზნების განახლება და დახვეწა.

კომპონენტი 2.1

- პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის თანახმად (გვ. 8), ფილოსოფიის საბაკალავრო პროგრამის სავალდებულო კურსების მოცულობა 18-დან 48 კრედიტამდე გაიზარდა. რაც შეეხება არჩევით კურსებს, მათი მოცულობა შემცირდა 18 კრედიტიდან 12 კრედიტამდე, ხოლო თეორიული და პრაქტიკული ფილოსოფიის მოდულების მოცულობა განისაზღვრა მინიმუმ 30-30 კრედიტით. გარდა ამისა, პროგრამის ფარგლებში საბაკალავრო ნაშრომის შესრულება სავალდებულო გახდა.

- უსდ-ს მიერ დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პასუხის გაზიარების/არგაზიარების შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო უსდ-ს არგუმენტირებულ წერილს დასკვნის პროექტთან მიმართებაში. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ პასუხებში კონკრეტული საკითხები ბოლომდე არ არის გადაფარული და დაელოდება საკითხის საჯარო განხილვას აკრედიტაციის საბჭოს ფორმატში. მოცემულ ეტაპზე საგანმანათლებლო პროგრამისადმი წარდგენილი რეკომენდაციები და რჩევები რჩება უცვლელი.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

<p>1.1 პროგრამის მიზნები</p>
<p>პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის საბაკალავრო პროგრამის მიზანია ფილოსოფიის დარგში კრიტიკული აზროვნებით აღჭურვილი სპეციალისტების მომზადება, რომლებსაც ექნებათ ფართო ცოდნა უმთავრესი ფილოსოფიური სკოლებისა და ქვედარგების, ასევე, ფილოსოფიის ისტორიის საკვანძო პერიოდების შესახებ. აღნიშნული მიზნები ნათლად არის ფორმულირებული და მათი განხორციელება საბაკალავრო საფეხურზე სავსებით შესაძლებელია. პროგრამა, ასევე, მიზნად ისახავს, მოამზადოს ისეთი სპეციალისტი, რომელსაც „კომპეტენციებისა და უნარების მნიშვნელოვანი დიაპაზონი“ ექნება (როგორებიცაა არგუმენტირებული მსჯელობის, სისტემური და შემოქმედებითი აზროვნებისა და ანალიზის უნარები). თუმცა, აღსანიშნავია, რომ პროგრამის მიზნებში არ არის მითითებული, თუ რა წვლილს შეიტანს პროგრამა სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში. შესაბამისად, სასურველია, რომ აღნიშნული მომენტი შეტანილი იქნეს პროგრამის მიზნების აღწერაში, რადგან ეს ხელს შეუწყობს პროგრამის უნიკალურობის წარმოჩენას.</p> <p>პროგრამის მიზნები საჯარო და ხელმისაწვდომია (აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამა განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე https://iliauni.edu.ge/filosofia, ჩარჩოსთან შესაბამისობაში მოყვანის შემდგომ კორექტირებული საგანმანათლებლო პროგრამა ასევე განთავსდება უნივერსიტეტის ელექტრონულ მისამართზე) და ისინი შესაბამისობაშია ფაკულტეტის (იხ. https://iliauni.edu.ge/mecnierebata-da-xelovnebis-fakulteti) და უნივერსიტეტის (იხ. https://iliauni.edu.ge/ge/iliauni/mission) მიზნებსა და მისიასთან.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> • ფილოსოფიის საბაკალავრო პროგრამის აღწერა; • ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია • ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნებათა ფაკულტეტის მიზნები
<p>რეკომენდაციები:</p> <p>-</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <ul style="list-style-type: none"> • სასურველია, პროგრამის მიზნებში მითითებული იქნეს, თუ რა წვლილს შეიტანს პროგრამა სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში, რადგან ეს ხელს შეუწყობს პროგრამის უნიკალურობის წარმოჩენას.
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <p>-</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <p>პროგრამის თვითშეფასების ანგარიშში (გვ. 7) მითითებულია, რომ მოხდა პროგრამის მიზნების განახლება და დახვეწა.</p>
<p>შეფასება</p> <ul style="list-style-type: none"> <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
<ul style="list-style-type: none"> ➤ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➤ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➤ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად და მკაფიოდაა ჩამოყალიბებული. საბაკალავრო დონეზე მათი განხორციელება რეალისტურია. აღნიშნული მიზნები შეესაბამება საბაკალავრო პროგრამის მიზნებს, სფეროს სპეციფიკასა და ფილოსოფიის დარგობრივ მახასიათებელს, შესაბამისობაში მოდის კვალიფიკაციის შესაბამის დონესთან და ისინი შეესატყვისება მისანიჭებელ კვალიფიკაციას (ფილოსოფიის ბაკალავრი). პროგრამას, ასევე, თან ერთვის კომპეტენციების რუკა, რომელშიც ასახულია პროგრამით გათვალისწინებული დისციპლინების მიმართება სწავლის შედეგებთან. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგები საშუალებას მისცემს კურსდამთავრებულს, გააგრძელოს სწავლა განათლების შემდეგ საფეხურზე. ასევე, სწავლის შედეგებით განსაზღვრული კომპეტენციები კურსდამთავრებულს საშუალებას მისცემს, დასაქმდეს საგანმანათლებლო პროგრამის აღწერაში მითითებულ სფეროებში (გვ. 4).</p> <p>პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმში განსაზღვრულია სამიზნე ნიშნულები ყველა სასწავლო შედეგთან მიმართებით. სამიზნე ნიშნულები მოცემულია სწავლის შედეგების, შეფასების კომპონენტისა და შეფასების პერიოდთან მიმართებით. სწავლის შედეგების შეფასების პერიოდი მოიცავს IV-VIII სემესტრებს, ხოლო შეფასების ფორმად დასკვნითი გამოცდაა განსაზღვრული.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ საგანმანათლებლო პროგრამა; ▪ პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა; ▪ ფილოსოფიის დარგობრივი მახასიათებელი; ▪ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი.
<p>რეკომენდაციები:</p> <p>-</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ სასურველია, განხორციელდეს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი, ანუ ასახული იყოს რეალური დინამიკა (რა იყო განსაზღვრული და როგორი იყო/არის არსებული რეალობა), რათა პროგრამის განვითარება და სამიზნე ნიშნულებზე გასვლა/არგასვლის პროცესი ნათლად იყოს წარმოჩენილი.
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <p>-</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <p>პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის (გვ. 8) თანახმად, მოხდა პროგრამის სწავლის შედეგების შესწორება ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით; კერძოდ, სწავლის შედეგები გაიწერა ძირითადი სწავლის სფეროს კომპეტენციებთან მიმართებით.</p>
<p>შეფასება</p> <ul style="list-style-type: none"> <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
<p>უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>ფილოსოფიის საბაკალავრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობად საჭიროა ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარება შემდეგ საგნებში: ქართული ენა და ლიტერატურა, უცხოური ენა (გერმანული, ინგლისური, რუსული, ფრანგული) და ერთ-ერთი საგანი შემდეგი სავალდებულო საგნებიდან: მათემატიკა/ისტორია/ლიტერატურა. პროგრამაზე დაშვების წინაპირობების შესახებ ინფორმაცია განთავსებულია დაწესებულების ვებ-გვერდზე და ის ყველა მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას და ისინი უზრუნველყოფს პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნისა და კომპეტენციების მქონე პირთა ჩართვას აღნიშნულ პროგრამაში. პროგრამაზე მიღების წესი, ასევე, შესაბამისობაშია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტთან (იხ. მუხლი 3)</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> დაწესებულების ვებ-გვერდი; პროგრამის აღწერა; ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტი (დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს 2021 წლის 22 მარტის N2 სხდომის გადაწყვეტილებით).
<p>რეკომენდაციები:</p> <p>-</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>სასურველია რუბრიკაში <i>პროგრამაზე დაშვების წინაპირობები</i> ასევე აისახოს მობილობით სტუდენტთა პროგრამაზე დაშვებისა და უცხოელ მოქალაქეთა მიღების პირობები პოტენციურ სტუდენტთა და საგანმანათლებლო პროგრამით დაინტერესებულ სხვა პირთა ინფორმირების მიზნით.</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <p>-</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p>

-
<p>შეფასება</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი</p> <p>პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.</p> <p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>ფილოსოფიის საბაკალავრო პროგრამა შედგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის შესაბამისად. პროგრამით გათვალისწინებული 240 კრედიტიდან ძირითადი სწავლის სფეროს განეკუთვნება 120 კრედიტი, ბაკალავრიატის ზოგადსაუნივერსიტეტო საბაზისო მოდულს - 60 კრედიტი, ხოლო დამატებით პროგრამას/თავისუფალ კომპონენტს - 60 კრედიტი. ძირითადი სწავლის სფეროს 120 კრედიტიდან ფილოსოფიის სავალდებულო კურსები შეადგენს 48 კრედიტს, ხოლო ფილოსოფიის არჩევითი კურსები - 12 კრედიტს. თუმცა, ვებ-გვერდზე (იხ. https://iliauni.edu.ge/filosofia) ატვირთულ ფაილში „ფილოსოფიის საბაკალავრო პროგრამა - ინდივიდუალური“ განყოფილებაში „სასწავლო პროგრამის სტრუქტურა“ (გვ. 3) ფილოსოფიის სავალდებულო კურსების მოცულობად 42 კრედიტია აღნიშნული, ხოლო არჩევითი კურსების მაქსიმალურ მოცულობად - 18 კრედიტი. შესაბამისად, საჭიროა აღნიშნული ჩანაწერების შესწორება და პროგრამის განახლებულ დოკუმენტთან მათი შესაბამისობაში მოყვანა.</p> <p>ფილოსოფიის სავალდებულო-არჩევითი კურსები 60 კრედიტით განისაზღვრება, რომელთაგან სტუდენტმა მინიმუმ 30 კრედიტი თეორიული ფილოსოფიის კურსებიდან უნდა აირჩიოს და მინიმუმ 30 კრედიტი - პრაქტიკული ფილოსოფიის კურსებიდან. ფილოსოფიის სავალდებულო, სავალდებულო-არჩევითი და არჩევითი კურსების შინაარსი და კომპლექსურობა შესაბამისობაშია სწავლების საბაკალავრო საფეხურთან, პროგრამაში შემავალი კურსები ლოგიკურადაა დალაგებული: კერძოდ, სავალდებულო კომპონენტებში პროგრამა ითვალისწინებს როგორც ფილოსოფიის ისტორიის საკვანძო მოაზროვნეების გაცნობას (შესაბამისი კურსები: ანტიკური ფილოსოფია, შუა საუკუნეების ფილოსოფია, ახალი დროის ფილოსოფია და თანამედროვე ფილოსოფია), ასევე, სისტემურ პერსპექტივასაც (შესაბამისი კურსები: ეთიკა, ესთეტიკა, ლოგიკის საფუძვლები). სავალდებულო-არჩევით მოდულში შემავალი თეორიული და პრაქტიკული ფილოსოფიის კურსები ასახავს თანამედროვე ფილოსოფიურ დისკურსში არსებულ ძირითად ტენდენციებს. სასწავლო კურსების წინაპირობები როგორც სავალდებულო, ასევე, არჩევით-სავალდებულო მოდულებში ლოგიკურადაა დადგენილი და არ შეიცავს წინააღმდეგობებს.</p> <p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> • ფილოსოფიის საბაკალავრო პროგრამის აღწერა; • კურსების კატალოგი; • ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტი (დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს 2021 წლის 22 მარტის N2 სხდომის გადაწყვეტილებით); • პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; • პროგრამის სილაბუსები. <p>რეკომენდაციები:</p> <p style="text-align: center;">-</p> <p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p style="text-align: center;">-</p> <p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p>

<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) პროგრამის თვითმფასების ანგარიშის თანახმად (გვ. 8), ფილოსოფიის საბაკალავრო პროგრამის სავალდებულო კურსების მოცულობა 18-დან 48 კრედიტამდე გაიზარდა. რაც შეეხება არჩევით კურსებს, მათი მოცულობა შემცირდა 18 კრედიტიდან 12 კრედიტამდე, ხოლო თეორიული და პრაქტიკული ფილოსოფიის მოდულების მოცულობა განისაზღვრა მინიმუმ 30-30 კრედიტით. გარდა ამისა, პროგრამის ფარგლებში საბაკალავრო ნაშრომის შესრულება სავალდებულო გახდა.</p>
<p>შეფასება</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>2.3. სასწავლო კურსი</p> <p>➤ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;</p> <p>➤ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ფილოსოფიის საბაკალავრო პროგრამის სავალდებულო მოდული შედგება შემდეგი სასწავლო კურსებისგან:</p> <ul style="list-style-type: none"> • ანტიკური ფილოსოფია, • შუა საუკუნეების ფილოსოფია, • ახალი დროის ფილოსოფია, • თანამედროვე ფილოსოფია, • ლოგიკის საფუძვლები, • ეთიკა, • ესთეტიკა, • საბაკალავრო ნაშრომი. <p>თეორიული ფილოსოფიის სავალდებულო-არჩევითი მოდული შედგება შემდეგი სასწავლო კურსებისგან:</p> <ul style="list-style-type: none"> • ენა და ონტოლოგია შუა საუკუნეების ფილოსოფიაში, • მეტაფიზიკური პრობლემები შუა საუკუნეების ფილოსოფიაში, • მეცნიერება და თანამედროვე სამყარო: ალფრედ ნორთ უაიტჰედის ბუნების ფილოსოფია, • რელიგიური რწმენა და რაციონალობა, • ენის ფილოსოფია, • პოსტ-კლასიკური ფილოსოფია (კირკეგორი, მარქსი, ნიცშე), • ცნობიერების ფილოსოფიის საფუძვლები, • ფორმალური მეთოდები ფილოსოფიაში: შესავალი, • არისტოტელეს მეტაფიზიკა: ტექსტი და კომენტარი, • შესავალი ეპისტემოლოგიაში, • რუსული ფილოსოფიის ისტორია. <p>პრაქტიკული ფილოსოფიის სავალდებულო-არჩევითი მოდული შედგება შემდეგი სასწავლო კურსებისგან:</p> <ul style="list-style-type: none"> • მოდერნულობის თეორიები • მორალური მოტივაციის ფილოსოფიური თეორიები: ისტორიული და თანამედროვე დებატები • თავისუფლების იდეა გერმანულ იდეალიზმში • პოლიტიკა და ესთეტიკა • კლასიკური ესთეტიკური პარადიგმები: ხელოვნების ფილოსოფიის ისტორია პლატონიდან ჰეგელამდე • კლასიკური ესთეტიკური პარადიგმები: ხელოვნების ფილოსოფიის ისტორია ჰეგელიდან დღემდე

<ul style="list-style-type: none"> • შესავალი ბიოეთიკაში • პოლიტიკური ფილოსოფია და დემოკრატიული სახელმწიფო • შესავალი ადამიანის უფლებების ფილოსოფიაში • შესავალი კარლ მარქსის ფილოსოფიაში • ისტორიის ფილოსოფია: წინსვლის იდეა და მისი კრიტიკა • ფილოსოფიური ანთროპოლოგია • იმანუელ კანტის „პრაქტიკული გონების კრიტიკა“. <p>აღნიშნული სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შესაბამისობაშია მთლიანად საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგებთან, ხოლო სასწავლო კურსების შინაარსი უზრუნველყოფს ამ სასწავლო კურსებით გაწერილი სწავლის შედეგების მიღწევას. თუმცა, სასწავლო კურსში „თანამედროვე ფილოსოფია“ არც ლიტერატურაში და არც თემატიკაში მითითებული არ არის ფრიდრიხ ნიცშეს ფილოსოფიური შეხედულებების განხილვა. შესაბამისად, უადრესად სასურველია, რომ ამ მოაზროვნის მნიშვნელობისა და გავლენიდან გამომდინარე ფილოსოფიის სავალდებულო მოდულის ამ სასწავლო კურსში, რომელიც თანამედროვე ფილოსოფიას ეხება, ნიცშეს ნააზროვნის განხილვას სათანადო ყურადღება დაეთმოს. გარდა ამისა, ფიქსირდება რამდენიმე ხარვეზი: კერძოდ, სასწავლო კურსის სილაბუსში „შუა საუკუნეების ფილოსოფია“ გვხვდება 127(!) გვერდი, რაც შესასწორებელია. ასევე, სასურველია, სასწავლო კურსში „ახალი დროის ფილოსოფია“ განყოფილებაში „ლიტერატურა და სხვა რესურსები“ ერთმანეთისგან გაიმიჯნოს სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურა.</p> <p>სასწავლო კურსებისთვის მინიჭებული კრედიტების მოცულობა სასწავლო კურსების შინაარსთან და სასწავლო კურსის/პროგრამის სწავლის შედეგებთან წინააღმდეგობაში არ მოდის. სასწავლო კურსებში საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების თანაფარდობა კურსების სპეციფიკის მიხედვით განსხვავებულია და უზრუნველყოფს სასწავლო კურსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. სასწავლო კურსებში მითითებული ლიტერატურა შეესაბამება სასწავლო კურსებით/მოდულებით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> • კურსების კატალოგი; • სასწავლო კურსების სილაბუსები.
<p>რეკომენდაციები:</p> <p>-</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <ul style="list-style-type: none"> • სასწავლო კურსში „თანამედროვე ფილოსოფია“ შეტანილი იქნეს მასალა ფრიდრიხ ნიცშეს შესახებ ამ მოაზროვნის მნიშვნელობისა და გავლენიდან გამომდინარე; • შესწორდეს ტექნიკური ხარვეზი სასწავლო კურსის სილაბუსში „შუა საუკუნეების ფილოსოფია“, კერძოდ, შემცირდეს ერთი და იგივე გვერდების რაოდენობა; • სასწავლო კურსში „ახალი დროის ფილოსოფია“ გაიმიჯნოს სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურა.
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <p>-</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <p>-</p>
<p>შეფასება</p> <ul style="list-style-type: none"> <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

<p>2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება</p> <p>პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.</p>

<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>ფილოსოფიის საბაკალავრო პროგრამის სავალდებულო მოდულით გათვალისწინებულია საბაკალავრო ნაშრომის დაცვა (6 კრედიტი). „საბაკალავრო ნაშრომის მიზანია, სტუდენტს განუვითაროს ფილოსოფიის დარგში კვლევის საბაზო უნარები, რათა მათ შეძლონ კლასიკური და თანამედროვე ფილოსოფიური პრობლემების/საკითხების, იდეების და კონცეფციების შესახებ ორიგინალური მსჯელობის აგება ხელმძღვანელის დაკვირვების პირობებში“ (იხ. ფილოსოფიის საბაკალავრო ნაშრომის კონცეფცია, გვ. 1). საბაკალავრო ნაშრომი ხორციელდება ბაკალავრიატის დამამთავრებელ სემესტრში. საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელს ირჩევს სტუდენტი სწავლის დამასრულებელი სემესტრის დაწყებამდე. ფილოსოფიის საბაკალავრო ნაშრომის კონცეფციის თანახმად, საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/მოწვეული პერსონალი, ან შესაბამისი მიმართულების დოქტორანტი. საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელი კონსულტაციას უწევს სტუდენტს საბაკალავრო ნაშრომზე მუშაობის პროცესში. კონსულტაციის ხანგრძლივობა შეადგენს, სულ მცირე, ორ საათს კვირაში. 7-ე კვირას სტუდენტი წარუდგენს ნაშრომის ხელმძღვანელს ნაშრომის წინასწარ ვერსიას. სემესტრის ბოლო სტუდენტი წარადგენს ხელმძღვანელთან და ასევე, უგზავნის მას რეცენზენტსა და საბაკალავრო ნაშრომის დაცვის დარგობრივ კომისიას. საბაკალავრო ნაშრომზე მუშაობის პროცესი ხელს უწყობს სტუდენტში იმ უნარების გამომუშავებას, რომელიც მას შეუძლია, წარმატებით გამოიყენოს განათლების შემდეგ საფეხურზე.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> • სასწავლო კურსების კატალოგი; • ფილოსოფიის საბაკალავრო ნაშრომის კონცეფცია.
<p>რეკომენდაციები:</p> <p>-</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>-</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> • საბაკალავრო ნაშრომის ფილოსოფიის სავალდებულო მოდულში ინტეგრირება უზრუნველყოფს სტუდენტებში საბაკალავრო დონის შესაბამისი კვლევითი უნარების განვითარებას და მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მათ აკადემიურ პროგრესს შემდგომ საგანმანათლებლო საფეხურზე (სადაც ხშირად ფიქსირდება სტუდენტებში კვლევითი უნარების არასათანადო განვითარება სწორედ იმის გამო, რომ მათ ბაკალავრიატში არ ეძლევათ აღნიშნული უნარების განვითარების შესაძლებლობა).
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p>
<p>შეფასება</p> <ul style="list-style-type: none"> <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

<p>2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები</p> <p>პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.</p>
